11/05/2026 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

მოგესალმებით,

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად (VASP) რეგისტრირებული კომპანიების, შპს კრიპტომატის (ს/ნ 431178209) და შპს დიჯიტალ ლეჯერ ტექნოლოჯის (ს/ნ 431178218) მსხვილი წილის ბენეფიციარი მესაკუთრე არის გიორგი ბაჩიაშვილი (01008021797).

საჯაროდ გამოქვეყნებული არაერთი წყაროს მიხედვით გიორგი ბაჩიაშვილი არის მსჯავრდებული მძიმე ეკონომიკური დანაშაულებისთვის.
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მითვისება ან გაფლანგვა დიდი ოდენობით) და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია).
ამ დანაშაულებისთვის მას 2025 წლის 10 მარტს მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2026 წლის თებერვალში კი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ დატოვა საპატიმრო დაწესებულება.
რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის (VASP) საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ქართული აქტები გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს მსგავს დანაშაულებებში მხილებულ პირებს ფლობნენ და მართავდნენ VASP-ებს.

გამომდინარე აქედან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, თავი მე-3 ინფორმაციის თავისუფლება გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. ყველა იმ წერილის, შეტყობინების ასლი, რომელიც ეროვნულ ბანკში შემოვიდა ბაჩიაშვილის მიერ ზემოხსენებული VASP-ების წილების ფლობის შესახებ.
2. გთხოვთ მომაწოდოთ ყველა იმ დოკუმენტის (წერილი, სამსახურებრივი ბარათი, ბრძანება და ა.შ.) ასლი, რომელიც ეროვნულ ბანკში მომზადდა ზემოხსენებული VASP-ების გიორგი ბაჩიაშვილის მიერ ფლობის, ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობასთან დადგენის შესახებ. (დოკუმენტაცია, რომელიც აღწერს, ადასტურებს, ეროვნული ბანკის მიერ ამ საკითხის გამოკვლევას და მასზე სამართლებრივ რეაგირებას)
3. გთხოვ მომაწოდოთ ეროვნულ ბანკში შემოსული, მომზადებული ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც დაკავშირებულია ზემოხსენებული VASP-ების საქმიანობის შესწავლასთან ეროვნული ბანკის მიერ. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, VASP-ების ბაზარზე მომუშვე კონკრეტულმა კომპანიამ არაერთგზის მომართა ეროვნულ ბანკს სადაც შპს კრიპტომატის (ს/ნ 431178209) და შპს დიჯიტალ ლეჯერ ტექნოლოჯის (ს/ნ 431178218) მხრიდან კანონდარღვევის სისტემური ფაქტების შესახებ გატყობინებდათ.

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ ელექტრონულად, მისამართებზე:
MgeladzeG@rferl.org და Mgeladzegia@gmail.com

პატივისცემით,

გიორგი (გივი) მგელაძე (26001005275)

რადიო თავისუფლების ჟურნალისტი